1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 34 (194) 10 დეკემბერი 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

517. კონვენცია გაშლილი ზღვის შესახებ.
518. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
519. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.
520. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. პ. ფ. ლომაკოს დანიშვნის შესახებ.
521. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შესახებ.
522. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბ. ე. დიმშიცის დანიშვნის შესახებ.
523. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოდ გარდაქმნის შესახებ.
524. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის გაუქმების შესახებ.
525. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. მ. ა. ლესეჩკოს დანიშვნის შესახებ.
526. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის გათავისუფლების შესახებ.

527. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად ამხ. პ. ს. ნეპოროჟნის დანიშვნის შესახებ.

528. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ე. ტ. ნოვიკოვის დანიშვნის შესახებ.

529. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ი. ა. გრიშმანოვის გათავისუფლების შესახებ.

530. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ.

531. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. გ. პერეუხინის გათავისუფლების შესახებ.

532. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პ. ა. აბრასიმოვის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

533. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. პ. რუსაკოვის დაჯილდოების შესახებ.

534. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ საბჭოთა არმიის რიგითის კ. ვ. ჟიგალკოვსკის დაჯილდოების შესახებ.

535. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ს. ს. ძერჟინსკაიას დაჯილდოების შესახებ.

536. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით ავიაციის მარშალ ნ. ს. სკრიპკოს დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰ. ტრეველიანმა.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

537. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

538. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების და დამატებების შესახებ.

539. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების და დამატებების შესახებ.

540. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის ფიცის ტექსტისა და ფიცის მიღების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

541. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეოთხე

542. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

543. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მეხუთე

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა

517

გაშლილი ზღვის შესახებ

სახელმწიფოები — ამ კონვენციის მხარეები,

რომლებსაც სურთ კოდიფიცირებულ იქნას საერთაშორისო სამართლის დადგენილებანი გაშლილი ზღვის შესახებ, და

რომლებიც აღიარებენ, რომ გაერთიანებული ერების საზღვაო სამართლის საკითხების კონფერენციამ, გამართულმა ჟენევაში 1958 წლის 24 თებერვლიდან 28 აპრილამდე, მიიღო ქვემომოყვანილი დადგენილებანი, როგორც საერთაშორისო სამართლის დადგენილი პრინციპების დეკლარაციის საერთო ხასიათის მატარებელნი,

შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

სიტყვები „გაშლილი ზღვა" ნიშნავს ზღვის ყველა იმ ნაწილს, რომელიც არ ეკუთვნის რომელიმე სახელმწიფოს არც ტერიტორიულ ზღვას, არც შიდა წყლებს.

მუხლი 2

გაშლილი ზღვა ღიაა ყველა ერისათვის და არც ერთ სახელმწიფოს უფლება არა აქვს იქონიოს ის პრეტენზია, რომ გაშლილი ზღვის რომელიმე ნაწილი დაუქვემდებაროს თავის სუვერენიტეტს. გაშლილ ზღვაზე შეუზღუდავი ნაოსნობა ხორციელდება იმ პირობებით, რომლებსაც განსაზღვრავენ ეს მუხლები და საერთაშორისო სამართლის ნორმები. კერძოდ, იგი როგორც ზღვისპირა, ისე არაზღვისპირა სახელმწიფოებისათვის, შეიცავს:

1) ნაოსნობის თავისუფლებას,

2) მეთევზეობის თავისუფლებას,

3) წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანის თავისუფლებას,

4) გაშლილ ზღვაზე ფრენის თავისუფლებას.

ყველა სახელმწიფო ახორციელებს ამ თავისუფლებებს, ისე როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად ცნობილ სხვა თავისუფლებებსაც, და გონივრულად ითვალისწინებს იმას, რომ სხვა სახელმწიფოები დაინტერესებული არიან ისარგებლონ გაშლილ ზღვებზე შეუზღუდავი ნაოსნობით.

მუხლი 3

1. უზღვისპირო სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი გასასვლელი ზღვაზე, რათა ზღვისპირა სახელმწიფოებთან ერთად თანაბარი უფლებით ისარგებლონ ზღვებზე შეუზღუდავი ნაოსნობით. ამ მიზნით ზღვასა და უზღვისპირო სახელმწიფოებს შორის მდებარე სახელმწიფოები უზღვისპირო სახელმწიფოებთან საერთო შეთანხმებისა და მოქმედი საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე დაუთმობენ:

a) უზღვისპირო სახელმწიფოს, ნაცვალგების საფუძველზე, თავისუფალ გზას თავის ტერიტორიაზე, და

b) ამ სახელმწიფოს დროშით მცურავ ხომალდებს იმ უფლებას, რომ შევიდნენ საზღვაო ნავსადგურებში და ისარგებლონ ამ ნავსადგურებით თავის ხომალდების ან სხვა სახელმწიფოთა ხომალდების თანაბრად.

2. ზღვასა და უზღვისპირო სახელმწიფოებს შორის მდებარე სახელმწიფოები ყველანი შეუთანხმდებიან უზღვისპირო სახელმწიფოს, გაითვალისწინებენ ზღვისპირა სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს უფლებებს, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ტრანზიტი, აგრეთვე იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიც იმყოფება უზღვისპირო სახელმწიფო, და გადაწყვეტენ ყველა იმ საკითხს, რომ ტრანზიტი თავისუფალი და ნავსადგურთა გამოყენება თანასწორი იყოს, თუკი ეს სახელმწიფოები არ არიან მოქმედ საერთაშორისო კონვენციათა მხარეები.

მუხლი 4

თითოეულ სახელმწიფოს, იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა იგი ზღვისპირა სახელმწიფო, უფლება აქვს, რომ ხომალდები მისი დროშით ნაოსნობდნენ გაშლილ ზღვაში.

მუხლი 5

1. ხომალდებისათვის თავისი ეროვნების მიკუთვნების, თავის ტერიტორიაზე ხომალდების რეგისტრაციისა და თავისი დროშით ნაოსნობის უფლებას განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო. ხომალდი იმ სახელმწიფოს ეროვნებას განეკუთვნება, რომლის დროშითაც მან უნდა ინაოსნოს. ამა თუ იმ სახელმწიფოსა და ამა თუ იმ ხომალდს შორის უნდა არსებობდეს რეალური კავშირი; კერძოდ, სახელმწიფო ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და სოციალურ სფეროში ეფექტურად უნდა ახორციელებდეს თავის იურისდიქციას და თავის კონტროლს თავისი დროშით მონაოსნე ხომალდზე.

2. თითოეული სახელმწიფო შესაბამისი საბუთებით აღჭურავს იმ ხომალდებს, რომლებსაც მან უფლება მიანიჭა ინაოსნონ თავისი დროშით.

მუხლი 6

1. ხომალდები უნდა ნაოსნობდნენ მხოლოდ ერთი სახელმწიფოს დროშით და, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ მუხლებით პირდაპირ

გათვალისწინებული განსაკუთრებული შემთხვევებისა, გაშლილ ზღვაში ემორჩილებიან მის განსაკუთრებულ იურისდიქციას. ნაოსნობის ან ნავსადგურში შესვლისას დგომის დროს ხომალდს არ შეუძლია გამოცვალოს თავისი დროშა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საკუთრება ნამდვილად გადადის ან იცვლება რეგისტრაცია.

2. მაშინ, როცა ხომალდი ნაოსნობს ორი ან მეტი სახელმწიფოს დროშით და სარგებლობს ამ დროშებით იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო მოსახერხებელი, მას არ შეუძლია მოსთხოვოს სხვა სახელმწიფოებს, რომ იგი იცნონ რომელიმე შესაბამისი ეროვნების ხომალდად, და შეიძლება განეკუთვნოს უეროვნებო ხომალდებს.

მუხლი 7

წინა მუხლების დადგენილებანი არ შეეხება იმ ხომალდების საკითხს, რომლებიც რომელიმე მთავრობათაშორის ორგანიზაციის ოფიციალურ სამსახურში იმყოფებიან და ნაოსნობენ ამ ორგანიზაციის დროშით.

მუხლი 8

1. გაშლილ ზღვაში სამხედრო გემები სარგებლობენ სრული იმუნიტეტით და არ ექვემდებარებიან არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქციას, გარდა დროშის სახელმწიფოს იურისდიქციისა.

2. ამ მუხლებში სიტყვები „სამხედრო გემი“ ნიშნავს ხომალდს, რომელიც ეკუთვნის რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალებს და ატარებს თავისი ეროვნების სამხედრო გემის განმასხვავებელ გარეგან ნიშნებს. სამხედრო გემს უნდა მეთაურობდეს სახელმწიფო სამსახურში მყოფი ოფიცერი, რომლის სახელი შეტანილია სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა სიაში, და ჰყავდეს რეგულარულ სამხედრო დისციპლინას დამორჩილებული ეკიპაჟი.

მუხლი 9

გაშლილ ზღვაში იმ სახელმწიფოთა იურისდიქციისაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ დროშის სახელმწიფოს, სრული იმუნიტეტით სარგებლობენ მთავრობის მხოლოდ არაკომერციულ სამსახურში მყოფი ხომალდები, სულ ერთია ეკუთვნიან ისინი სახელმწიფოს თუ სახელმწიფო იყენებს მათ.

მუხლი 10

1. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს საჭირო ზომები ზღვაში იმ ხომალდების უშიშროების უზრუნველყოფისათვის, რომლებიც მისი დროშით ნაოსნობენ, კერძოდ, იმისათვის, რაც შეეხება:

a) სიგნალების გამოყენებას, კავშირის დამყარებას და შეჯახების თავიდან აცილებას,

b) ხომალდთა ეკიპაჟების დაკომპლექტებასა და შრომის პირობებს, ამასთან გაითვალისწინოს, რომ გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება შრომის საკითხებს;

c) ხომალდების კონსტრუქციებს, აღჭურვილობას და მათ საზღვაოსნო თვისებებს.

2. ამ ზომებს რომ დააწესებს, სახელმწიფო ვალდებულია არ დაარღვიოს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმები და მათი დაცვის უზრუნველსაყოფად მიიღოს ყველა საჭირო ზომა.

მუხლი 11

1. იმ შემთხვევაში, როცა გაშლილ ზღვაში ნაოსნობისას ხომალდს ხომალდი დაეჯახება ან შეემთხვევა სხვა რამ, რაც გამოიწვევს ხომალდის კაპიტნის ან ხომალდის სამსახურის სხვა რომელიმე პირის სისხლის სამართლის ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ამ პირის მიმართ რაიმე სისხლის სამართლის ან დისციპლინური წესით საქმის აღძვრა შეიძლება მხოლოდ დროშის სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაციულ ხელისუფალთა წინაშე, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროში გემწამყვანის დიპლომის ან კვალიფიკაციის მოწმობის გამცემი სახელმწიფოა მარტოოდენ კომპეტენტური იმისათვის, რომ საჭირო პროცედურის შემდეგ, ჩამოართვას ეს საბუთები იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი მფლობელი არ არის ამ საბუთების გამცემი სახელმწიფოს მოქალაქე.

3. გამოძიების ზომების თვალსაზრისითაც კი არ შეიძლება ამ ხომალდის არც დაყადაღება, არც დაკავება რომელიმე ხელისუფალთა განკარგულებით, გარდა დროშის სახელმწიფოს ხელისუფალთა განკარგულებისა.

მუხლი 12

1. თითოეულ სახელმწიფოს თავისი დროშით მონაოსნე ყოველი ხომალდის კაპიტნის მოვალეობად მიაჩნია, რამდენადაც კაპიტანს შეუძლია ეს გააკეთოს გემის, ეკიპაჟისა და მგზავრების სერიოზულ საფრთხეში ჩაუგდებლად:

a) დახმარება გაუწიოს ზღვაში აღმოჩენილ ყოველ პირს, რომელსაც დაღუპვა ელის,

b) მთელი შესაძლო სიჩქარით გაეშუროს დასაღუპავად განწირულთა დასახმარებლად, თუ შეატყობინეს, რომ მათ ესაჭიროებათ დახმარება, რამდენადაც მის ასეთ მოქმედებაზე იმედის დამყარება შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად,

c) დაჯახების შემდეგ დახმარება გაუწიოს მეორე ხომალდს, მის ეკიპაჟსა და მგზავრებს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეატყობინოს ამ მეორე ხომალდს თავისი ხომალდის სახელი, ნავსადგური, სადაც რეგისტრირებულია იგი, და უახლოესი ნავსადგური, რომელშიც იგი შევა.

2. ზღვაზე და ზღვისზედა სივრცეში უშიშროების უზრუნველსაყოფად ყველა ზღვისპირა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი ეფექტური მაშველი სამსახურის არსებობა-ორგანიზაციას, აგრეთვე საჭირო შემთხვევებში ამ მიზნით უნდა დადოს რეგიონალური შეთანხმებები მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობაზე.

მუხლი 13

თითოეული სახელმწიფო ვალდებულია ეფექტური ზომები მიიღოს იმისათვის, რომ მისი დროშით მონაოსნე ხომალდებმა არ გადაიყვან-გადმოიყვანონ მონები, და ასეთი გადაყვანა-გადმოყვანისათვის დააწესოს სასჯელი, აგრეთვე მიიღოს ზომები იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს მისი დროშის უკანონო გამოყენება ამ მიზნით. მონა, რომელმაც თავშესაფარი პოვა ხომალდზე, რომელი დროშითაც არ უნდა ნაოსნობდეს ეს ხომალდი, Ipso facto თავისუფალია.

მუხლი 14

ყველა სახელმწიფო ვალდებულია ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მეკობრეობის მოსპობას გაშლილ ზღვაში და ყველა სხვა ადგილას, რომელიც იმყოფება რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

მუხლი 15

მეკობრეობაა ყოველი ქვემოჩამოთვლილი ქმედობა:

1) ძალადობის, დაკავების ან გაძარცვის ყოველგვარი არაკანონზომიერი აქტი, ჩადენილი პირადი მიზნებით რომელიმე კერძომფლობელური ხომალდის ანდა კერძომფლობელური საფრენი აპარატის ეკიპაჟის ან მგზავრების მიერ და მიმართული:

a) გაშლილ ზღვაში რომელიმე სხვა ხომალდის ან საფრენი აპარატის წინააღმდეგ ანდა მათზე მყოფი პირების ან არსებული ქონების წინააღმდეგ,

b) რომელიმე ხომალდის ან საფრენი აპარატის, პირის ან ქონების წინააღმდეგ ისეთ ადგილას, რომელზეც არ ვრცელდება არც ერთი სახელმწიფოს იურისდიქცია;

2) რომელიმე ხომალდის ან საფრენი აპარატის გამოყენებაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის ყოველგვარი აქტი, თუ ამ აქტის ჩამდენისათვის ცნობილია გარემოება, რომლის ძალითაც ეს ხომალდი ან ეს საფრენი აპარატი წარმოადგენს სამეკობრეო ხომალდს ან სამეკობრეო საფრენ აპარატს.

3) ყოველი ქმედობა, რომელიც წარმოადგენს ამ მუხლის 1 ან 2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედობის წაქეზების ან ჩადენის შეგნებულად ხელის შეწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16

15 მუხლით განსაზღვრული მეკობრული ქმედობანი, ჩადენილი ნებისმიერ ბანდის ან სახელმწიფო ხომალდის ანდა სახელმწიფო საფრენი აპარატის მიერ, რომლის ეკიპაჟი აჯანყდა და ხელთ იგდო ძალაუფლება ამ ხომალდზე ან საფრენ აპარატზე, გაუთანაბრდება კერძომფლობელური ხომალდის ქმედობას.

მუხლი 17

ხომალდი ან საფრენი აპარატი მიჩნეული იქნება მეკობრულ ხომალდად ან მეკობრულ საფრენ აპარატად, თუ მათზე ძალაუფლების მქონე პირები მათ იყენებენ 15 მუხლით გათვალისწინებულ ქმედობათა ჩასადენად. ასეთ ქმედობათა ჩასადენად გამოყენებულ ხომალდს ან საფრენ აპარატს ეს ეხება აგრეთვე მანამდე, სანამ ისინი რჩებიან ამ ქმედობისთვის დამნაშავე პირთა ძალაუფლებაში.

მუხლი 18

ხომალდს ან საფრენ აპარატს შეუძლია შეინარჩუნოს თავისი ეროვნება მიუხედავად იმისა, რომ ისინი გახდნენ მეკობრული ხომალდი ან მეკობრული საფრენი აპარატი. ეროვნების შენარჩუნებას ან დაკარგვას განსაზღვრავს ეროვნების მიმნიჭებელი სახელმწიფოს კანონი.

მუხლი 19

გაშლილ ზღვაში ან რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ მდებარე სხვა ადგილებში, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია შეიპყროს მეკობრული ხომალდი ან მეკობრული საფრენი აპარატი ანდა მეკობრული ქმედობის საშუალებით ხელში ჩაგდებული და მეკობრეთა ძალაუფლებაში მყოფი ხომალდი, დააპატიმროს ამ ხომალდზე ან საფრენ აპარატზე მყოფი პირები და წაიღოს მათზე არსებული ქონება. იმ სახელმწიფოს სასამართლო დაწესებულებებს, რომელმაც მოახდინა ასეთი შეპყრობა, შეუძლიათ გამოიტანონ დასჯის დადგენილება და განსაზღვრონ, როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული ასეთი ხომალდების, საფრენი აპარატების ან ქონების მიმართ, ისე რომ დარღვეული არ იქნას კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებები.

მუხლი 20

თუ ხომალდი ან საფრენი აპარატი საკმაო საფუძვლების უქონლად ეჭვის მიტანით არის შეპყრობილი მეკობრეობისათვის, მაშინ შემპყრობი სახელმწიფო შეპყრობით გამოწვეული ყოველი ზიანისა და ყოველი ზარალისათვის პასუხს აგებს იმ სახელმწიფოს წინაშე, რომლის ეროვნებისაც არის ხომალდი ან საფრენი აპარატი.

მუხლი 21

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკობრეობისათვის შეპყრობა შეუძლია მხოლოდ სამხედრო გემს ან სამხედრო საფრენ აპარატს ან სხვა ხომალდებს ან საფრენ აპარატებს, რომლებიც მთავრობის სამსახურში იმყოფებიან და ამის სათანადო რწმუნებით არიან აღჭურვილნი

მუხლი 22

1. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩარევის აქტები დამყარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაწესებულ უფლებებზე, სამხედრო გემს, რომელიც გაშლილ ზღვაში შეხვდება უცხო ქვეყნის სავაჭრო ხომალდს, უფლება არა აქვს გასინჯოს იგი, თუ არ არის საკმაო საფუძვლები ეჭვისა,

a) რომ ეს ხომალდი მეკობრეობს, ან

b) რომ ეს ხომალდი მონებით ვაჭრობს, ანდა

c) რომ ეს ხომალდიც ნამდვილად ამ სამხედრო გემის ეროვნებისაა, თუმცა მასზე აღმართულია უცხო ქვეყნის დროშა ან იგი უარს ამბობს აღმართოს დროშა.

2. „a“, „b“ და „c“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამხედრო გემს შეუძლია შეამოწმოს, აქვს თუ არა ხომალდს მასზე აღმართული დროშის ტარების უფლება. ამ მიზნით მას შეუძლია ეჭვმიტანილ ხომალდთან გაგზავნოს კანჯო ოფიცრის მეთაურობით. თუ საბუთების გასინჯვის შემდეგ ეჭვი არ გაიფანტა, მას შეუძლია თვით ხომალდზევე მოახდინოს შემდგომი გამოკვლევა მთელი შესაძლო წინდახედულობით.

3. თუ ეჭვი მცდარი აღმოჩნდა, ამასთან, თუ გასინჯულმა ხომალდმა არ ჩაიდინა არავითარი ქმედობანი, რომლებიც ამ ეჭვისათვის საფუძველს შექმნიდნენ, მას უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ვნება და ზარალი.

მუხლი 23

1. უცხო ქვეყნის ხომალდის დევნა შეიძლება დაიწყოს, თუ ზღვისპირა სახელმწიფოს კომპეტენტურ ხელისუფალთ საკმაო საფუძველი აქვთ მიიჩნიონ, რომ ამ ხომალდმა დაარღვია ამ სახელმწიფოს კანონები და წესები. დევნა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა უცხო ქვეყნის ხომალდი ან მისი ერთ-ერთი კანჯო იმყოფება მდევნელი სახელმწიფოს შიდა წყლებში, ტერიტორიულ ზღვასა ან მომიჯნავე ზონაში, და შეიძლება გაგრძელდეს ტერიტორიული ზღვის ან მომიჯნავე ზონის ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი არ წყდება. საჭირო არ არის, რომ იმ დროს, როცა ტერიტორიულ ზღვასა ან მომიჯნავე ზონაში მონაოსნე უცხო ქვეყნის ხომალდი მიიღებს ბრძანებას გაჩერდეს, ამ ბრძანების გამცემი ხომალდიც იმყოფებოდეს ტერიტორიული ზღვის ან მომიჯნავე ზონის ფარგლებში. თუ უცხო ქვეყნის ხომალდი იმყოფება ტერიტორიული ზღვისა და მომიჯნავე ზონის შესახებ დადებული კონვენციის 24 მუხლით განსაზღვრულ მომიჯნავე ზონაში, დევნა შეიძლება დაი-

წყოს მხოლოდ იმ უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით, რომელთა დასაცავადაც არის დადგენილი ეს ზონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დევნის უფლება წყდება, როგორც კი დევნილი ხომალდი შევა თავისი ქვეყნის ტერიტორიულ ზღვაში ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს ტერიტორიულ ზღვაში.

3. დევნა დაწყებულად ითვლება მხოლოდ იმ პირობით, თუ მდევნელი ხომალდი მის განკარგულებაში მყოფ და პრაქტიკულად გამოსაყენებელ საშუალებათა ოახმარებით დარწმუნდება, რომ დევნილი ხომალდი ან მისი ერთ-ერთი კანოო ან სხვა კანოოები, რომლებიც ერთად მოქმედებენ და დევნილი ხომალდი გამოყენებული აქვთ როგორც ხომალდი-ბაზა, იმყოფებიან ტერიტორიული ზღვის ოარეალებში ან, შესაბამის შემთხვევებში, მომიჯნავე ზონაში. დევნა შეიძლება ოაიწყოს მხოლოდ გაჩერების შესახებ ხილვადი ან ხმოვანი ნიშნის მიცემის შემდეგ ისეთი დისტანციიდან, რომელიც საშუალებას მისცემს შესაბამის ხომალდს ოაინახოს ან გაიგონოს იგი.

4. დევნის უფლებას ახორციელებენ მხოლოდ სამხედრო გემები ან სამხედრო საფრენი აპარატები ანდა სხვა ხომალდები ან საფრენი აპარატები, რომლებიც მთავრობის სამსახურში იმყოფებიან და ამის სათანადო რწმუნებით არიან აღჭურვილნი.

5. საფრენი აპარატით დევნის შემთხვევაში

a) ამ მუხლის 1-3 პუნქტის დადგენილებანი გამოიყენება mutatis mutandis დევნის ამ წესის მიმართაც;

b) გაჩერების ბრძანების გამცემმა საფრენმა აპარატმა თვითონ აქტიურად უნდა დევნოს ხომალდი, სანამ საფრენი აპარატის მიერ გაფრთხილებული ზღვისპირა სახელმწიფოს რომელიმე ხომალდი ან რომელიმე საფრენი აპარატი არ მოვა ადგილზე, რათა გააგრძელოს დევნა, თუკი საფრენ აპარატს არ შეუძლია თვითონ დააკავოს ხომალდი. გაშლილ ზღვაში რომელიმე ხომალდის დაკავების დასასაბუთებლად საკმარისი არ არის მარტოოდენ ის, რომ იგი უბრალოდ შეამჩნიოს საფრენმა აპარატმა როგორც დამრღვევი ან როგორც დარღვევისათვის ეჭვმიტანილი, თუკი იმავე დროს ხომალდმა არ მიიღო მოთხოვნა გაჩერდეს და არ იყო დევნილი თვით საფრენი აპარატის ანდა სხვა საფრენი აპარატების ან ხომალდების მიერ, რომლებიც შეუწყვეტლივ განაგრძობდნენ დევნას.

6. რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში დაკავებული და კომპეტენტურ ხელისუფალთა მიერ გამოძიების ჩატარების მიზნით ამ სახელმწიფოს ნავსადგურში ბადრაგით მოყვანილი ხომალდის გათავისუფლება არ შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ იმიტომ, რომ ხომალდმა და მისმა ბადრაგმა გადაკვეთეს გაშლილი ზღვის რომელიმე ნაწილი, როცა გარემოებამ გამოიწვია ამ გადაკვეთის აუცილებლობა.

7. თუ ხომალდი გააჩერეს ან დააკავეს გაშლილ ზღვაში ისეთ პირობებში, რომლებიც დევნის უფლების განხორციელებას არ ამართლებენ, მას უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი და ზარალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 24

იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნას ზღვის წყლის გაჭუჭყიანება, რასაც იწვევს გემებიდან ან მილსადენებიდან გადმონადენი ნავთობი ან ზღვის ფსკერის ხედაპირის ან მისი ყიაღის დამუშავება ან დაზვერვა, თითოეულმა სახელმწიფომ უნდა გამოსცეს წესები, აძასთან მხედველობაში უნდა მიიღოს მოქმედ ხელშეკრულებათა დადგენილებანი ამ საკითხზე.

მუხლი 25

1. თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა თავიდან აცილებულ იქნას ზღვის გაბინძურება რადიოაქტიური ნარჩენებით, ამასთან გაითვალისწინოს ყველა ის ნორმა და წესი, რომელებიც შეიძლება შეიმუშაონ კომპეტენტურმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

2. ყველა სახელმწიფო ვალდებულია ითანამშრომლოს კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან იმ ზომების მისაღებად, რომ თავიდან იქნას აცილებული ზღვისა და ზღვის საჰაერო სივრცის გაბინძურება ყოველგვარი საქმიანობის შედეგად, რადიოაქტიური მასალებისა და სხვა მავნე ნივთიერებათა გამოყენების ჩათვლით.

მუხლი 26

1. თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს გაშლილი ზღვის ფსკერზე გაიყვანოს კაბელი და მილსადენი.

2. ზღვისპირა სახელმწიფოს არ შეუძლია წინ აღუდგეს წყალქვეშა კაბელების ან მილსადენების გაყვანას და დაცვას კონტინენტურ შელფზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ახორციელებს თავის უფლებას მიიღოს გონივრული ზომები კონტინენტური შელფის დასაზვერად და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლად.

3. ამ კაბელებისა და მილსადენების გაყვანისას აღნიშნულმა სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ზღვის ფსკერზე უკვე გაყვანილი კაბელები და მილსადენები. კერძოდ, მან ხელი არ უნდა შეუშალოს იმ შესაძლებლობას, რომ შეაკეთონ არსებული კაბელები და მილსადენები.

მუხლი 27

თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს საჭირო საკანონმდებლო ზომები, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება, რომ მისი დროშით მონაოსნე რომელიმე ხომალდის ან მის იურისდიქციას დაქვემდებარებული რომელიმე პირის მიერ გაშლილ ზღვაში წყალქვეშა კაბელის განზრახ ან დანაშაულებრივი დაუდევრობით გაწყვეტა ან დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სატელეგრაფო ან სატელეფონო კავშირის შეწყვეტა ან გაძნელება, და ასევე მსგავს გარემოებებში წყალქვეშა მილსადენის ან ძაღალი ძაბვის კაბელის გაწყვეტა ან დაზიანება, დასჯადი ქმედობაა. ეს დადგენილება არ ეხება

იმათ, ვინც ამ კაბელებს ან მილსადენებს გაწყვეტს ან დააზიანებს სიფრთხილის ყველა ზომის მიღების შემდეგ და მხოლოდ და მხოლოდ თავისი სიცოცხლის ან თავისი ხომალდის გადარჩენის მართლზომიერი მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 28

თითოეული სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს საჭირო საკანონმდებლო ზომები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება, რომ თუ მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირნი, რომელთაც ეკუთვნით წყალქვეშა კაბელი ან მილსადენი გაშლილ ზღვაში, ამ კაბელის ან მილსადენის გაყვანის ან შეკეთების დროს გაწყვეტენ ან დააზიანებენ სხვა კაბელს ან მილსადენს, მათვე გადახდებათ შეკეთების შესაბამისი ხარჯები.

მუხლი 29

თითოეულმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს საჭირო საკანონმდებლო ზომები, რათა ხომალდთა მფლობელებმა, რომლებიც დაამტკიცებენ, რომ წყალქვეშა კაბელის ან მილსადენის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით მათ გაიმეტეს ღუზა, ბადე ან სხვა რომელიმე თევზსაჭერი ხელსაწყო, შეძლონ აინაზღაურონ დანაკარგი ამ კაბელის ან მილსადენის მფლობელისაგან იმ პირობით, თუ წინასწარ მიღებული იყო სიფრთხილის ყველა გონივრული ზომა.

მუხლი 30

ამ კონვენციის დადგენილებანი არ ეხება იმ კონვენციებსა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოებს — ამ კონვენციების ან შეთანხმებების მხარეებს — შორის.

მუხლი 31

ეს კონვენცია 1958 წლის 31 ოქტომბრამდე ხელმოსაწერად ხსნილია ყველა სახელმწიფოსათვის — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრისათვის, ყოველი სპეციალიზებული დაწესებულებისათვის და ყოველი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც გენერალური ასამბლეა მოიწვევს კონვენციის მხარედ.

მუხლი 32

ეს კონვენცია რატიფიცირებულ უნდა იქნას. რატიფიკაციის აქტები შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მუხლი 33

ეს კონვენცია შემოსაერთებლად ხსნილია იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც განეკუთვნებიან 31 მუხლში მოხსენებულ რომელიმე კატეგორიას,

შემოერთების აქტები შესანახად ჩაბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 34

1. ეს კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს იმ დღის მომდევნო დღიდან, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შესანახად ჩაბარდება რატიფიკაციის ან შემოერთების ოცდამეორე აქტი.

2. თითოეული სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რატიფიკაციის ან შემოერთების ოცდამეორე აქტის შესანახად ჩაბარების შემდეგ მოახდენს ამ კონვენციის რატიფიკაციას ან შემოუერთდება მას, კონვენცია ძალაში შედის ოცდამეათე დღეს იმ დღიდან, როცა ეს სახელმწიფო შესანახად ჩააბარებს რატიფიკაციის ან შემოერთების თავის აქტს.

მუხლი 35

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს შეუძლია, როცა კი მოისურვებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე დაწერილი განცხადების საშუალებით მოითხოვოს ამ კონვენციის გადასინჯვა.

2. შესაბამის შემთხვევებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა დაადგენს, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამ განცხადებასთან დაკავშირებით.

მუხლი 36

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს და 31 მუხლში მოხსენიებულ სხვა სახელმწიფოებს შეატყობინებს:

a) ამ კონვენციის თითოეულ ხელმოწერას და 31, 32 და 33 მუხლების თანახმად რატიფიკაციის ან შემოერთების აქტების შესანახად ჩაბარებას;

b) 34 მუხლის თანახმად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს;

c) 35 მუხლის თანახმად გადასინჯვის შესახებ თხოვნებს.

მუხლი 37

ამ კონვენციის დედანი, რომლის რუსული, ინგლისური, ესპანური, ჩინური და ფრანგული ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს და იგი 31 მუხლში მოხსენიებულ ყველა სახელმწიფოს დაუგზავნის შემოწმებულ ასლებს.

რის დასადასტურებლადაც ქვემორეხელისმომწერმა წარმომადგენლებმა, თავ-თავიანთი მთავრობების მიერ ამაზე სათანადო რწმუნებით აღჭურვილებმა, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადებულია ჟენევაში ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი წლის ოცდაცხრა აპრილს.

(წარმომადგენელთა ხელმოწერა)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მაგიერ 9 მუხლის* დათქმით და განცხადებით**.
დათქმისა და განცხადების ტექსტი თან ერთვის.

ვ. ზორინი
1958 წლის 30 ოქტომბერი.

* * *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 20 ოქტომბერს დათქმითა და განცხადებით, რომელიც ამ კონვენციაზე ხელმოწერის დროს ნიუ-იორკში გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა 1958 წლის 30 ოქტომბერს.

გაშლილი ზღვის კონვენცია ამ კონვენციის 34 მუხლის შესაბამისად ძალაში შევიდა 1962 წლის 30 სექტემბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

518 ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სსრ კავშირის კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ პუნქტის საფუძველზე დამტკიცდეს ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლა, რაც მოხდა ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 22 მაისის და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი

---

*9 მუხლის შესახებ: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპი, გაშლილ ზღვაში ხომალდი ემორჩილება მხოლოდ იმ ქვეყნის იურისდიქციას, რომლის დროშითაც იგი ნაოსნობს, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ეხება ყველა სახელმწიფოს ხომალდს“.

** გაშლილი ზღვის შესახებ კონვენციის ხელმოწერისას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ კონვენციაში მოცემული განსაზღვრება მეკობრეობისა არ შეიცავს ზოგიერთ ქმედობას, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით უნდა ჩაითვალოს მეკობრულ ქმედობად და არ შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო გზებზე ზღვაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფის ინტერესებს“.

საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 სექტემბრის გრძანებულებებით „ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყამირის მხარის კუსტანაის ოლქსა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ჩელიაბინსკის ოლქს შორის საზღვრის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“. საზღვრის აღწერილობა თან ერთვის.

ეს გრძანებულება შეტანილ იქნას დასამტკიცებლად სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. გრეჭნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 768-VI.

აღწერილობა

საზღვრისა ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის შესაბამისად ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 22 მაისის და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 29 სექტემბრის გრძანებულებებისა

იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის ჩელიაბინსკის ოლქის ვარნის რაიონის 381 ჰექტარი ფართობი მიწის ნაკვეთი გადაეცა ყაზახეთის სსრ ყამირინ მხარის კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონს, ხოლო ჩელიაბინსკის ოლქის ვარნის რაიონს გადაეცა კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონიდან გამოყოფილი ტოლდიდი ტერიტორია, გადაცემასთან და იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტიურად შექმნილი მიწათსარგებლობის გამო ნაწილობრივ შეიცვალა ყაზახეთის სს რესპუბლიკასა და რუსეთის სფს რესპუბლიკას შორის არსებული საზღვარი, წესდება შემდეგი საზღვარი:

საზღვრის ახალი ხაზი იწყება ჩელიაბინსკის ოლქის ვარნის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობა „ვარნენსკის“, აგრეთვე ყამირის მხარის კუსტანაის ოლქის კარაბალიკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ურნეკსკის“ მიწათსარგებლობის საზღვრის შესაყარინ სამიჯნაო ნიშნიდან, საიდანაც იგი მშრალხევზე მიემართება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდინარე ტოგუზაკამდე რუმბ

$$\frac{6^0 20'}{1952,0};\ \frac{8^0 42'}{1500,0};\ \frac{47^0 58'}{935,0};\ \frac{47^0 55'}{1000,0};\ \frac{20^0 41'}{535,4};\ \frac{20^0 40'}{575,0}$$

გაყოლებით (მრიცხველში ნაჩვენებია კუთხე, რომელსაც ქმნის საზღვრის ხაზი მერიდიანთან, ხოლო მნიშვნელში — ამ ხაზის სიგრძე მეტრობით). შემდეგ საზღვრის ხაზი მიემართება ქვევით ტოგუზაკის დინების შუაზე 6000 მეტრის მანძილზე, შემდეგ მდინარე ტოგუზაკიდან მიემართება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით რუმბ $\frac{16^0 25'}{1350}$ მშრალხევის გაყოლებით, შემდეგ იგი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ რუმბ $\frac{62^0}{295,0}$ რუსეთის სფს რესპუბლიკის ჩელიაბინსკის ოლქსა და ყაზახეთის სსრ ყამირის მხარის კუსტანაის

ოლქს შორის არსებულ საზღვრის სამიჯნაო ნიშნისკენ, რომელიც ტრიგონომეტრიულ პუნქტ „უბანი — 123“-დან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით დგას დაახლოებით 240 მეტრზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

519 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-ეკონომიური საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 770-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

520 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. პ. ფ. ლომაკოს დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. პეტრე ფადეის ძე **ლომაკო** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 771-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

521 სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 772-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

522 **სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ბ. ე. დიმშიცის დანიშვნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბენიამინ ემანუილის ძე **დიმშიცი** სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის **მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 773-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

523 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოდ გარდაქმნის შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოდ.

სსრ კავშირის უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმის **თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 774-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

524 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის გაუქმების შესახებ**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია.

სსრ კავშირის **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** **თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის **უმაღლესი** საბჭოს **პრეზიდიუმის** **მდივანი** **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.

№ 775-VI.

ეროვნული

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

525 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. მ. ა. ლესეჩკოს დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ავქსენტის ძე **ლესეჩკო** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.
№ 776-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

526 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ვ. ნ. ნოვიკოვის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ნოვიკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით და დამტკიცდეს იგი სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.
№ 777-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

527 სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად ამხ. პ. ს. ნეპოროჟნის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. პეტრე სტეფანეს ძე **ნეპოროჟნი** სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.
№ 778-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

528 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ე. ტ. ნოვიკოვის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ეგნატე ტროფიმეს ძე **ნოვიკოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ და გათავისუფლდეს იგი სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.
№ 779-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

529 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ი. ა. გრიშმანოვის გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ივანე ალექსანდრეს ძე **გრიშმანოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 24 ნოემბერი.
№ 780-VI.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

530 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო **ადგენენ:**

შეიქმნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 27 ნოემბერი.
№ 780a—VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

531 გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან მ. გ. პერვუხინის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს მიხეილ გიორგის ძე **პერვუხინი** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 30 ნოემბერი.
№ 783-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

532 გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პ. ა. აბრასიმოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პეტრე ანდრიას ძე **აბრასიმოვი** გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 30 ნოემბერი.
№ 784-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

533 შრომის წითელი დროშის ორდენით უაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მ. პ. რუსაკოვის დაჯილდოების შესახებ

მთა-მადნეულის გეოლოგიის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მიხეილ პეტრეს ძე **რუსაკოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 1 დეკემბერი.
№ 785-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

534 მედლით „მამაცობისათვის“ საბჭოთა არმიის რიგითის კ. ვ. ჟიგალკოვსკის დაჯილდოების შესახებ

მფრინავის სიცოცხლის და საავიაციო ტექნიკის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის საბჭოთა არმიის რიგითი კონსტანტინე ვიქტორის ძე **ჟიგალკოვსკი** დაჯილდოვდეს მედლით **„მამაცობისათვის“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 3 დეკემბერი.
№ 786-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

535 შრომის წითელი დროშის ორდენით ამხ. ს. ს. ძერჟინსკაიას დაჯილდოების შესახებ

რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით ამხ. სოფიო სიგიზმუნდის ასული **ძერჟინსკაია** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 3 დეკემბერი.
№ 787-VI.

536 ლენინის ორდენით ავიაციის მარშალ ნ. ს. სკრიპკოს დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით ავიაციის მარშალი ნიკოლოზ სიმონის ძე სკრიპკო დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 დეკემბერი.
№ 788-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჰ. ტრეველიანმა.

ა. წ. 1 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერი ჰემფრი ტრეველიანი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ სრულუფლებიანი მინისტრი, მრჩეველი ვ. ბარკერი, სამხედრო-საზღვაო ატაშე კაპიტანი ჯ. ა. ტემპლტონ-კოტილი, სამხედრო ატაშე ბრიგადის გენერალი ლ. მაკსფელი, სამხედრო-საჰაერო ატაშე ავიაციის კომოდორი მ. დ. ლაინი, სავაჭრო მრჩეველი დ. სტიუარტი, მრჩეველი ტ. გარეტი, პირველი მდივნები ე. ბოლანდი, ჯ. ს. კლოუკი, კ. ჯ. აფენი, ა. ბრუკ-ტურნერი, კ. კერბი, ვ. ფ. ტაუნსენდ-კოულსი, მესამე მდივანი ა. დ. ლოენისი, რომლებიც ელჩმა ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინა.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგე ვ. ს. ლავროვი.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა სერ ჰემფრი ტრეველიანს. საუბარს დაესწრო ი. ა. მალიკი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

537 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს შეშვიდე სესია 1962 წლის 20 დეკემბრს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

538 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების და დამატებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებაში“ შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

22 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საარჩევნო უფლების არმქონე პირთა“.

24 მუხლში სიტყვები „სახალხო სასამართლოში“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში“ და სიტყვები „სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება“ შეიცვალოს სიტყვებით: „რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება“.

მუხლი 29 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29.** საარჩევნო უბნები იქმნება შემდეგი ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 500-3000 მცხოვრებზე“.

მუხლი 30 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 30.** სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 100-ისა შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბანი.“

მუხლი 31 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 31.** შორეულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებები სჭარბობენ, აგრეთვე მთიან რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა.“

34 მუხლში სიტყვები „25-ზე ნაკლები არ არის“ შეიცვალოს სიტყვებით „20-ზე ნაკლები არ არის.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 35 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 35.** საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად იმ ამომრჩეველთაგან, რომლებსაც აქვთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“ და არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, იქმნება საარჩევნო უბნები შორეული მიმოსვლის მატარებლებში, აგრეთვე რკინიგზის დიდ სადგურებში და აეროპორტებში.“

45 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „საჭირო შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხობრივი შემადგენლობა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია რკინიგზის დიდ სადგურებში, ნავსადგურებში, აგრეთვე გემებზე, რომლებიც არჩევნების დღეს ნაოსნობაში იმყოფებიან.“

ამავე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან არჩევნებამდე 30 დღით ადრე ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით.“

100 მუხლში სიტყვები „დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „პასუხს აგებს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის წესით.“

მუხლი 101 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 101.** თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომლებმაც ჩაიდინეს საარჩევნო დოკუმენტების სიყალბე, განზრახ არასწორად დაითვალეს ხმები ან დაარღვიეს არჩევნების საიდუმლოება, პასუხს აგებს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის წესით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

539 „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში“ ცვლილებების და დამატებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებაში“ შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

22 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „საარჩევნო უფლების არმქონე პირთა“.

24 მუხლში სიტყვები „სახალხო სასამართლოში“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში“ და სიტყვები „სახალხო სასა-

მართლოს გადაწყვეტილება“ შეიცვალოს სიტყვებით „რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33 მუხლს დაემატოს მესამე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „რაიონებში, რომელთა მოსახლეობა 80 ათას კაცს აღემატება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას 80-ზე მეტი საარჩევნო ოლქი“.

49 მუხლს დაემატოს მეოთხე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „იმ სასოფლო და სადაბო საბჭოში, სადაც მოსახლეობა 5000 კაცს აღემატება, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით შეიძლება შეიქმნას 50-ზე მეტი საარჩევნო ოლქი“.

მუხლი 59 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 59. საარჩევნო უბნები იქმნება ანგარიშით — ერთი საარჩევნო უბანი 500-3000 მცხოვრებზე“.

მუხლი 60 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 60. სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, სადაც ითვლება 500-ზე ნაკლები მცხოვრები, მაგრამ არა ნაკლებ 100-ისა, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბანი“.

მუხლი 61 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 61. შორეულ რაიონებში, სადაც წვრილი დასახლებები სჭარბობენ, აგრეთვე მთიან რაიონებში შეიძლება შეიქმნას საარჩევნო უბნები 100-ზე ნაკლები მცხოვრებით, მაგრამ არა ნაკლებ 50-ისა“.

64 მუხლში სიტყვები „25-ზე ნაკლები არ არის“ შეიცვალოს სიტყვებით „20-ზე ნაკლები არ არის“.

დებულებას 65 მუხლის შემდეგ დაემატოს ახალი მუხლი შემდეგი შინაარსით:

„საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად იმ ამომრჩევლებისაგან, რომლებსაც აქვთ „ხმის მიცემის უფლების მოწმობები“ და არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან იქმნება საარჩევნო უბნები შორეულ მიმოსვლის მატარებლებში, აგრეთვე რკინიგზის დიდ სადგურებში და აეროპორტებში“.

66 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსით: „საჭირო შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ გაზარდონ საუბნო საარჩევნო კომისიების რიცხობრივი შემადგენლობა იმ საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია რკინიგზის დიდ სადგურებში, ნავსადგურებში, აგრეთვე გემებზე, რომლებიც არჩევნების დღეს ნაოსნობაში იმყოფებიან“.

ამავე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან არჩევნებამდე 30 დღით ადრე ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით“.

120 მუხლში სიტყვები „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებით: „პასუხს აგებს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის წესით“.

მუხლი 121 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 121.** თანამდებობის პირი ან საარჩევნო კომისიის წევრი, რომლებმაც ჩაიდინეს საარჩევნო დოკუმენტების სიყალბე, ან განზრახ არასწორად დაითვალეს ხმები ან დაარღვიეს არჩევნების საიდუმლოება, პასუხს აგებს კანონით დადგენილ სისხლის სამართლის წესით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

540 საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის ფიცის ტექსტისა და ფიცის მიღების წესის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის ფიცის ტექსტი.
2. დამტკიცდეს საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის ფიცის მიღების წესის დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის

ფ ი ც ი

მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, ვიწყებ საბჭოთა მილიციაში მუშაობას და ფიცს ვდებ, წმინდა აღთქმას ვიძლევი ბოლომდე დავრჩე ჩემი ხალხის, სოციალისტური სამშობლოს და საბჭოთა მთავრობის ერთგული, ვიყო პატიოსანი, მამაცი, დისციპლინიანი, ფხიზელი მუშაკი, მტკიცედ შევინახო სამსახურებრივი და სახელმწიფო საიდუმლოება, ზუსტად დავიცვა სამსახურის აღსრულების კანონით დადგენილი წესი.

მე კეთილსინდისიერად შევასრულებ ჩემზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას, არ დავზოგავ ძალ-ღონეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, თვით სიცოცხლესაც იმისათვის, რომ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დავიცვა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქის პიროვნება, უფლებები და სოციალისტური მართლწესრიგი.

მაგრამ თუ დავარღვიე ეს ჩემი წმინდა ფიცი, დაე დავისაჯო საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფიცის მიღების თარიღი) (გვარი, სახელი და მამის სახელი)

(ფიცის მიმღების ხელმოწერა)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობის მიერ ფიცის მიღების წესისა

1. სსრ კავშირის თითოეული მოქალაქე საბჭოთა მილიციის რიგებში სამსახურის დაწყებისას ღებულობს ფიცს.

2. საბჭოთა მილიციის თითოეული მუშაკი ფიცს ღებულობს ინდივიდუალური წესით და ადასტურებს მას საკუთარი ხელის მოწერით.

3. ფიცს ღებულობს:

ა) საბჭოთა მილიციის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობა იმის შემდეგ, რაც იგი გაივლის დაწყებით მომზადებას და აითვისებს მილიციელის ძირითად მოვალეობას, ფიცისა და დისციპლინის მნიშვნელობას, მაგრამ სულ დიდი 3 თვის მანძილზე სამსახურში ჩარიცხვის მომენტიდან;

ბ) მილიციის სასწავლო დაწესებულებათა კურსანტები და მსმენელები, რომლებსაც ადრე არ მიუღიათ ფიცი, იმავე ვადის გასვლამდე;

გ) ყველა, ვისაც ღებულობენ საშუალო, უფროს, უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობებზე და ვისაც ადრე ფიცი არ მიუღია, მაგრამ სულ დიდი 3 თვის განმავლობაში თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან;

4. ყველა, ვინც მილიციაში პირველად იწყებს სამსახურს მილიციელის, მილიციის სასწავლო დაწესებულების კურსანტის, მსმენელის და მეთაურთა შემადგენლობის თანამდებობებზე, ფიცს მიიღებს მილიციის სამმართველოების, განყოფილებების, ქვეგანყოფილებების და სხვა ქვეგანაყოფების უფროსთა ხელმძღვანელობით.

5. ფიცის მიღების დროს დანიშნავს სათანადო უფროსი. მანამდე ქვეგანაყოფებში ფიცის მიმღებთა შორის ტარდება ახსნა-განმარტებითი მუშაობა ფიცის მნიშვნელობის შესახებ.

ფიცის მიღების ცერემონიაზე მოიწვევენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

6. დანიშნულ დროს მილიციის გარნიზონი, გამოწყობილი ფორმის ტანსაცმელში, დროშისა და ორკესტრის თანხლებით დადგებიან მწყობრში. ფიცის

მიმღებნი იმყოფებიან პირველ მწკრივში (რიგში), მილიციის სამმართველოს, განყოფილების ან ქვეგანყოფილების უფროსი მოკლე სიტყვით განმარტავს ფიცისა და იმ საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობის მნიშვნელობას, რომელიც ეკისრება მილიციის მუშაკებს, როცა ისინი მიიღებენ ფიცს, რომ იქნებიან ერთგულნი მთელი საბჭოთა ხალხისა, თავიანთი სამშობლოსი და საბჭოთა მთავრობისა.

ახსნა-განმარტებითი სიტყვის შემდეგ მილიციის სათანადო უფროსი გასცემს ბრძანებას: „თავისუფლად" და აძლევს განკარგულებას ქვეგანაყოფთა უფროსებს დაიწყონ ფიცის მიღება.

ქვეგანაყოფთა უფროსები რიგ-რიგობით გამოიძახებენ მწყობრიდან მილიციის მუშაკებს, რომლებმაც ფიცი უნდა მიიღონ. ფიცის თითოეული მიმღები ქვეგანაყოფის მწყობრის წინაშე ხმამაღლა კითხულობს ფიცის ტექსტს, შემდეგ პირადად აწერს მას ხელს და დგება თავის ადგილზე მწყობრში, ფიცის მიღების დამთავრების შემდეგ ფიცის ტექსტი პირადი ხელმოწერებით ჩაბარდება მილიციის სამმართველოს, განყოფილების ან ქვეგანაყოფის უფროსს.

სამმართველოს, განყოფილების ან ქვეგანაყოფის უფროსი ულოცავს ახალგაზრდა მილიციელებს და მეთაურთა შემადგენლობას ფიცის მიღებას, ხოლო მთელ გარნიზონს, განყოფილებას ან ქვეგანაყოფს — ახალი შევსების მოსვლას, რის შემდეგაც ორკესტრი ასრულებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

სახელმწიფო ჰიმნთა შესრულების შემდეგ მილიციის გარნიზონი, ქვეგანაყოფი გაივლის საზეიმო მარშით.

დაბალი ტემპერატურისა და უამინდობის დროს ფიცის მიღება შეიძლება ჩატარდეს შენობაში.

მილიციის იმ ქვეგანაყოფებში, რომელთაც არ გააჩნიათ დროშა და ეძნელებათ ორკესტრის შოვნა, ფიცის მიღება მოხდება უდროშოდ და უორკესტროდ.

მილიციის ყველა მუშაკი, რომლებმაც რაიმე მიზეზით ვერ მიიღეს ფიცი დანიშნულ დღეს, ცალკე მიიღებს მას მომდევნო დღეებში მილიციის სამმართველოში ანდა სათანადო განყოფილებაში და ქვეგანაყოფში სამმართველოს ან განყოფილების (ქვეგანაყოფის) უფროსის ხელმძღვანელობით.

7. ტექსტი ფიცის მიმღების ხელმოწერით ინახება მის პირად საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

541 „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულებისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამო-

ყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების 13 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნას ცვლილებანი „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლის 1 ნაწილში, (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ. № 11, მუხ. 159), რომელსაც, სიტყვების „საზოგადოებრივი წესრიგის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სასაზღვრო რეჟიმის წესების“ და ამოღებულ იქნას ამ მუხლიდან სიტყვები „სასაზღვრო დაცვის ორგანოებს — სასაზღვრო რეჟიმის წესების დარღვევისათვის.“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

542 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ **მიმინოშვილი** სანდრო ექვთიმეს ძე — მახარაძის ქალაქის სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

543 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს სიკვდილის შემდგომ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ **ქსოვრელი** ივანე სერგის ძე — ქ. თბილისის 5-ე დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის ყოფილი მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

თბილისი. 1962 წლის 4 დეკემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით 1030 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	42
ქ. გორიდან	4
ქ. ფოთიდან	12
ქ. ქუთაისიდან	6
აბაშის რაიონიდან	33
ახალქალაქის „	40
ახალციხის „	29
ახმეტის „	14
გორის „	22
გურჯაანის „	7
დმანისის „	66
ვანის „	28
ზუგდიდის „	16
თელავის „	7
თერჯოლის „	72
თიანეთის „	12
კასპის „	18
ლაგოდეხის „	38
ლენტეხის „	28
მაიაკოვსკის „	7
მარნეულის „	234
მცხეთის „	10
ორჯონიკიძის „	23
სამტრედიის „	43
საჩხერის „	40
სიღნაღის „	2
ქარელის „	16
ჩოხატაურის „	4
ჩხოროწყუს „	40
ცხაკაიას „	6
წალკის „	36
წულუკიძის „	6
ხობის „	17
სამხრეთ ოსეთის ა/ო „	36
ყვარლის „	16

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი. პუშკინის მოედანი, 5.

დაიწყო ხელმოწერა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

უწყებებზე

1963 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“
ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასია:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.

ხელმოწერა მიიღება ყოველი მომდევნო თავიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატი“, ყველა საფოსტო კანტორა და რკინიგზის გამომცემლობის რწმუნებულები ტრანსპორტზე, „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების რწმუნება აქვთ.